გეშინოდეთ ალლაჰის, მოისმინეთ და დამორჩილდით, თუნდაც ეთიოპელი მონა იყოს თქვენი მმართველი, ნამდვილად, ის, ვინც თქვენგან დიდხანს იცოცხლებს, ბევრ განხეთქილებას იხილავს, ამიტომ დაიცავით ჩემი სუნნა და სწორ გზაზე მდგომი მართალი ხალიფების სუნნა

ალ-ი'რბად იბნ სარიაჰ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთ დღეს ჩვენ ერთად ყოფნისას წამოდგა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ისეთი რჩევა-დარიგება მოგვცა, რომ გულები ათრთოლდა და თვალებს ცრემლი მოგვადგა, მას უთხრეს: ო ალლაჰის შუამავალო, შენ მოგვეცი ისეთი რჩევა-დარიგება თითქოს გვეშვიდობებოდე, მაშ, დაგვიტოვე ანდერძად რაიმე. მან თქვა: «გეშინოდეთ ალლაჰის, მოისმინეთ და დამორჩილდით, თუნდაც ეთიოპელი მონა იყოს თქვენი მმართველი, ნამდვილად, ის, ვინც თქვენგან დიდხანს იცოცხლებს, ბევრ განხეთქილებას იხილავს, ამიტომ დაიცავით ჩემი სუნნა და სწორ გზაზე მდგომი მართალი ხალიფების სუნნა. არ გადაუხვიოთ მას და სრულიად თავი აარიდეთ სიახლეებს(ბიდ'ა), რადგან ყოველგვარი სიახლე არის გზააბნეულობა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისეთი დარიგება გაუკეთა საჰაბებს, რომ ათრთოლდა მის გამო გულები და ატირდა თვალები. და უთხრეს: ო ალლაჰის შუამავალო, თითქოს გვეშვიდობებოდე ამ დარიგებით, როცა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზედმეტად მეტი ყურადღება შეამჩნიეს საუბარში, და მისგან ითხოვეს ანდერძად რჩევა, რომელსაც ჩაეჭიდებოდნენ მის შემდგომ. თქვა: მე თქვენ ანდერძად გიტოვებთ, რომ გეშინოდეთ უზენაესი ალლაჰის. ეს ვლინდება ბრძანებების შესრულებაში და აკრძალულებზე მორიდებაში. სმენა და მორჩილება, ანუ: მმართველების მიმართ, თუნდაც მონა გახდეს თქვენი მმართველი ან ხელმძღვანელი, ანუ ყველაზე მდაბიო ადამიანიც რომ გახდეს თქვენი მმართველი არ უარყოთ ის და დაემორჩილეთ მას, საშიშროებით იმისგან, რომ არ გავრცელდეს არეულობა, რადგან ვინც იცხოვრებს თქვენგან დიდხანს, ის ბევრ განხეთქილებებს იხილავს. შემდეგ განუმარტა მათ გამოსავალი ამ განხეთქილებისგან, ეს მოხდება მის სუნნაზე და მის შემდეგ მყოფი მართალი მართლმორწმუნე ხალიფების სუნნაზე ჩაჭიდებით, რომლებიც არიან აბუ ბაქრ ას-სიდიიყ, 'უმარ იბნ ალ-ხატაბ, 'უსმან იბნ ა'ფვან და 'ალი იბნ აბუ ტაალიბ (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი). ჩაეჭიდეთ მას კბილებით ანუ - უკანა კბილებით-: ანუ ასეთი სერიოზულობით მიუდექით სუნნას და ჩაეჭიდეთ მას. მან ასევე გააფრთხილა ისინი რელიგიაში სიახლეებთან (ბიდ'ა) დაკავშირებით და თქვა, რომ ყოველი ინოვაცია გზააბნეულობაა.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee